

|   | პროექტის ავტორის პასუხი  |
|---|--|
| <p>გარემოს ეროვნული სააგენტოს N21/6912 წერილით წარმოდგენილი შენიშვნები</p> <p>1 სკრინინგის ანგარიშში (გვ. 5) მოცემულია, რომ „საპროექტო ტერიტორიაზე ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროა სამშენებლო ტექნიკა. სამშენებლო უბნებზე განსახორციელებელი პრაქტიკული ღონისძიებების მასშტაბებიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ სამშენებლო ტექნიკის გამოყენების ინტენსივობა დაბალია, შესაბამისად, დაბალია ხმაურისა და ვიბრაციის დონეები.“ დოკუმენტში წარმოდგენილი იყოს ხმაურის დონეების გაანგარიშება და შესაბამისი გამოთვლები უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიმართებით;</p> | <p>შენიშვნა გათვალისწინებულია, გთხოვთ იხილოთ სკრინინგის ანგარიშის თავი 5. „საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი“</p> |
| <p>2 დოკუმენტში (გვ. 11) მითითებულია, რომ „პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ინერტულ მასალად გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტში არსებული ლიცენზირებული კარიერები, ზიდვის მანძილი დაახლოებით 20 კმ. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, გამოყენებული იქნება ადგილობრივი არსებული გზები.“ დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს დღიურად რამდენი სატრანსპორტო გადაზიდვა განხორციელდება საპროექტო ტერიტორიაზე, ასევე ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადზე;</p>  | <p>შენიშვნა გათვალისწინებულია, გთხოვთ იხილოთ სკრინინგის ანგარიშის თავი 5. „საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი“</p> |
| <p>3 წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშიდან ირკვევა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასადგენად გაყვანილ იქნა ორი შურფი, თუმცა აღნიშნული შურფების ლითოლოგიური ჭრილების ცხრილში მითითებული კოორდინატები ხვდება დაუსახლებელ ტერიტორიაზე, საპროექტო არეალიდან დაახლოებით 5 კმ-ის მოშორებით. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;</p>   | <p>შენიშვნა გათვალისწინებულია.</p>   |
| <p>4 საპროექტო გადაწყვეტილების“ თავში განხილულია მხოლოდ პირველ ხევთან მონოლითური რკინაბეტონის მოწყობის ტექნიკური პარამეტრები, თუმცა არ არის მოცემული მეორე ხევის ტექნიკური პარამეტრების შესახებ ინფორმაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;</p>  | <p>შენიშვნა გათვალისწინებულია, გთხოვთ იხილოთ სკრინინგის ანგარიშის თავი 6. „საპროექტო ღონისძიებები“</p>                   |

|   |   |   |
|---|---|---|
| 5 | <p>დოკუმენტის ხაზობრივ და ტექსტურ ნაწილში განხილულია მონოლითური რკინაბეტონის წყალგამტარი მილების მოწყობის საკითხები თუმცა ნახაზზე (გვ. 83 ასევე მოცემულია გაბიონი, რაც დოკუმენტის ტექსტურ ნაწილში განხილული და წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;</p>   | <p>შენიშვნა გათვალისწინებულია, გთხოვთ იხილოთ სკრინინგის ანგარიშის თავი 6. „საპროექტო ღონისძიებები“</p>  |
| 6 | <p>სკრინინგის განცხადების „საპროექტო ღონისძიებების“ თავში (გვ. 11) დაზუსტებას საჭიროებს პირველი და მეორე ხევის GPS წერტილის კოორდინატები;</p>   | <p>შენიშვნა გათვალისწინებულია, გთხოვთ იხილოთ სკრინინგის ანგარიშის თავი 6. „საპროექტო ღონისძიებები“</p>  |
| 7 | <p>დოკუმენტის თანახმად, „საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობის სიახლოვეს, ხილული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი არ არის“. თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან, დაახლოებით 440 მეტრში მდებარეობს „ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია“. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში განხილული და შეფასებული უნდა იყოს ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულებისას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე შესაძლო ზემოქმედების საკითხი.</p> | <p>საქართველოს კანონის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ 36-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად „ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონად განისაზღვრება ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, რომელიც შედგება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არელებისგან და დგინდება ძეგლის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით“.</p> <p>ამავე მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულია განმარტება ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალის შესახებ, კერძოდ: „ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალი არის ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, სადაც ნებისმიერმა ქმედებამ შესაძლოა ფიზიკურად დააზიანოს ძეგლი ან მისი მიმდებარე ტერიტორია. ფიზიკური დაცვის არეალი განისაზღვრება შემდეგი მანძილით – ძეგლის სიმაღლე გამრავლებული 2-ზე, მაგრამ არანაკლებ 50 მეტრის რადიუსით“, ხოლო მე-4 პუნქტში განმარტებულია ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალის მნიშვნელობა: „ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი არის ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ან/და ძეგლის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალი განისაზღვრება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) ძეგლებისათვის – 300 მეტრის რადიუსით;</li> <li>ბ) ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებისათვის – 500 მეტრის რადიუსით;</li> <li>გ) მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლებისათვის – 1000 მეტრის რადიუსით“</li> </ul> |

|  |   |
|--|---|
|  | <p>ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წერილში მითითებული ეკლესია არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი (რეგისტრაციის ნომერი #6652 კოორდინატები X: 471071.00 Y: 4658364.00) და მასზე ვრცელდება არაუმეტეს 300-მეტრიანი რადიუსის ვიზუალური დაცვის არეალი (საპროექტო უბნიდან), შესაბამისად, აღნიშნული საკითხი შენიშვნას არ საჭიროებდა. მიუხედავად აღნიშნულისა, ზემოქმედების შეფასების თავში განხილულია აღნიშნული საკითხი.</p> <p>იმის გათვალისწინებით, რომ „ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია“ მდებარეობს საპროექტო არეალიდან 440 მეტრში, დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები გავლენას ვერ იქონიებს აღნიშნულ ძეგლზე. ასევე გასათვალისწინებელია დაგეგმილი სამუშაოების მცირე მასშტაბი და ის ფაქტი რომ ძეგლი მდებარეობს უფრო მაღალ ნიშნულზე და შესაბამისად არსებობს დონეთა სხვაობა საპროექტო არეალსა და ძეგლს შორის.</p> |
|--|---|